

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ხელნაწერის უფლებით

სოფიო ზურაბის ასული გორდელაძე

**ლირიკული სოპრანოს პარტიები მოცარტის ოპერებში.
მხატვრული და ტექნიკური ინტერპრეტაციის სირთულეები და მათი
გადაჭრის გზები**

სამუსიკო ხელოვნების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

აკ ა დ ე მ ი ა ტ ი

M U S 0215. 1. 9: სოლო აკადემიური სიმღერა

თბილისი, 2023 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მარინა ქავთარაძე

*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
პროფესორი*

ექსპერტი:

ეკატერინე ონიანი

*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი*

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის 8 დეკემბერს, 17.00 საათზე

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე N 4

მისამართი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

თბილისი, გრიბოედოვის ქ. N8/10, IV სართული, აუდიტორია #421

დისერტაციის და ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და კონსერვატორიის ვებ-გვერდზე:
www.tsc.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ეკა ჭაბაშვილი
სამუსიკო ხელოვნების დოქტორი
ასოც. პროფესორი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო თემის აქტუალობა:

მოცარტისადმი ინტერესი უდიდესია მუსიკოს-შემსრულებელთა და მუსიკის მკვლევართა მხრიდან. მისი შემოქმედება, რომელიც მისი ეპოქის არსებულ ყველა ჟანრსა და ფორმას მოიცავს, უაღრესად აქტუალურია თითქმის ორნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგაც. ნებისმიერი შემსრულებელი ისწრაფვის რეპერტუარში იქონიოს მოცარტის ნაწარმოებები, რაც მისი, როგორც შემსრულებლის პრესტიჟს და მუსიკოსის დონეს განსაზღვრავს. რა თქმა უნდა, ამ გენიოსის შემოქმედება უაღრესად საინტერესო საკვლევო მასალაა მუსიკოლოგებისთვისაც, მასზე შექმნილია უამრავი სამეცნიერო კვლევა და მხატვრული ლიტერატურა, ისევე, როგორც კინოხელოვნების შედეგები.

მოცარტისადმი ინტერესი არ ცხრება არა მხოლოდ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის, არამედ მისი პიროვნების, ცხოვრებისა და მოულოდნელი, ბოლომდე დაუდგენელი და ბურუსით მოცული გარდაცვალების გამოც. მოცარტის ბავშვობა - ვუნდერკინდი შემსრულებლის კარიერა, მისი კომეტისებური, საოცარი სისწრაფით და სიუხვით გამორჩეული შემოქმედების 30 წელი და მოულოდნელი გარდაცვალება ასეთ ახალგაზრდა ასაკში, რომლის მიზეზებზეც დღემდე სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიები არსებობს, მუდამ იქნება ინტერესის საგანი, მუდამ აღძრავს შეკითხვებს და ააღელვებს მოცარტის მკვლევრებსაც და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებსაც. აქედან გამომდინარე, მოცარტი არის და მუდამ იქნება **აქტუალური**, როგორც მკვლევარების, ასევე შემსრულებლებისთვის.

უთვალავი ნაშრომი არსებობს მოცარტის შემოქმედებაზე, კერძოდ, მის ოპერებზე, საკონცერტო არიების, კოლორატურული სოპრანოს პარტიების ინტერპრეტაციასა და თავისებურებებზე. ერთი მხრივ თემა მრავალმხრივი და ამოუწურავია, მეორე მხრივ იმდენად სიღრმისეულად შესწავლილი, რომ რთულია ახალი სიტყვა თქვა მოცარტთან მიმართებაში. თუმცა, ნაკლებად მოიპოვება ნაშრომები საკუთრივ ლირიკული სოპრანოს როლისა და მასთან დაკავშირებული პარტიების შესახებ მოცარტის ოპერებში. ჩვენ არ შეგვხვედრია კვლევა, სადაც განხილულია კონკრეტულად ლირიკული სოპრანოს პარტიების მთავარი არიები, წამოწეულია ლირიკული სოპრანოს პარტიების ტექნიკური, მხატვრული შესრულების პრობლემატიკა, ან მოცემულია მათი

სირთულეების გადაჭრის გზები. ასევე არ შეგვხვედრია კვლევა, სადაც მოცარტის საოპერო პარტიები დაჯგუფებულია ლირიკული სოპრანოს რეპერტუარის მიხედვით, მიუხედავად მოცარტის ოპერებში მათი მნიშვნელობისა. იმის გათვალისწინებით, რომ მოცარტის ოპერების ლირიკული სოპრანოს პარტიები მუდმივად არის შემსრულებელთა ინტერესის საგანი, ამ საკითხის შესწავლის აქტუალობა ეჭვსგარეშეა.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა: მოცარტის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ხმა სოპრანოა. მისი ოპერები ნამდვილი საკონკურსო ასპარეზია სოპრანოებისთვის, მათ უმრავლესობაში სულ მცირე ორი, ან სამი წამყვანი სოპრანოა, ზოგჯერ განსხვავებული ტიპის ხმითა და ხასიათის პერსონაჟით. ძალიან ხშირად ამ რამდენიმე სოპრანოდან ერთ-ერთი ლირიკული სოპრანოა (სუზანა და გრაფინია „ფიგაროს ქორწინებიდან“, პამინა „ჯადოსნური ფლეიტიდან“, ზაიდე „ზაიდედან“, ილია „იდომენეოსიდან“, ცერლინა „დონ ჯოვანიდან“ და ა.შ.). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მოცარტის ოპერებში ლირიკულ სოპრანოს ერთ-ერთი წამყვანი როლი უჭირავს, მიუხედავად იმისა, რომ ეპოქის გათვალისწინებით კოლორატურული (ვირტუოზული) სოპრანო იყო პრიმადონა. არაერთი კვლევა ეძღვნება კოლორატურული სოპრანოს პარტიებისა და საკონცერტო არიების ანალიზს მოცარტის შემოქმედებაში, (Baker, 1989; Lynn Baron, 2006; Williamson Dorenfeld, 1976; Vann, 1969; Жаркова, 2014). მაგრამ ჩემთვის, როგორც ლირიკული სოპრანოსთვის, საინტერესო იყო სწორედ მისი ლირიკული როლების (როგორებიცაა პამინა, ზაიდე, გრაფინია, სუზანა, ცერლინა) კვლევა და ანალიზი, რამაც განაპირობა **თემის არჩევანი**. ამასთანავე, საანალიზო პარტიები ნამდვირი მაქვს არაერთხელ ¹ და თემის არჩევისას ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო: ერთის მხრივ, მსურდა გამეღრმავებინა თეორიული ცოდნა იმის შესახებ, რისი პრაქტიკული გამოცდილება გამაჩნია, ხოლო მეორეს მხრივ,

¹ **გრაფინიას** პარტია ოპერიდან „ფიგაროს ქორწინება“ - ბერნის საოპერო თეატრი, შვეიცარია, 2016 წ და ზალცბურგის ლანდესთეატრი, ავსტრია, 2018 წელი.

სუზანას პარტია ოპერიდან „ფიგაროს ქორწინება“ - ტრენტოს კომუნალური თეატრი, იტალია, 2012 წ. და ტიროლის საერთაშორისო ფესტივალი ერლში, ავსტრია, 2012 წ.

ელექტრას პარტია ოპერიდან „იდომენეოსი“ - ლისაბონის საო კარლოსის თეატრი, პორტუგალია, 2018 წ.

ზაიდეს პარტია ოპერიდან „ზაიდე“ - ტიროლის საერთაშორისო ფესტივალი ერლში, ავსტრია 2018, 2019 წ.წ.

ცერლინას პარტია ოპერიდან „დონ ჯოვანი“ - გენუის კარლო ფელიჩეს თეატრი, იტალია, 2016 წ. და ტიროლის საერთაშორისო ფესტივალი ერლში, ავსტრია, 2013 წ.

პამინას პარტია ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“ - ტიროლის საერთაშორისო ფესტივალი ერლში, ავსტრია, 2016,2017 წ.წ.

მქონდა სურვილი დღემდე დაგროვილი ჩემი საშემსრულებლო გამოცდილების გაზიარებისა. იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ მოცარტის მუდმივ აქტუალობასა და მასთან დაკავშირებული კვლევების სიუხვესთან მიმართებაში, ჩვენი აზრით, წინამდებარე კვლევის **სიახლეს** შეიძლება განაპირობებდეს ჩემი, როგორც შემსრულებლის თვალთ დანახული მოცარტი, მისი საოპერო შემოქმედება, მისი საოპერო პარტიების მახასიათებლები და მათზე მუშაობის რეკომენდაციები. მოცარტის საოპერო პარტიების მხატვრული და ტექნიკური ინტერპრეტაციის სირთულეების დაძლევის გზებისათვის შემუშავებული და თავმოყრილი საშემსრულებლო რეკომენდაციები კვლევას **პრაქტიკულ დანიშნულებას** სძენს. ვიმედოვნებთ, რომ ეს რეკომენდაციები დაეხმარება შემსრულებლებს მოცარტის საოპერო პარტიების შესწავლასა და მათზე მუშაობაში.

წინამდებარე სადისერტაციო **კვლევის ობიექტია** მოცარტის საოპერო შემოქმედება, კონკრეტულად მისი 5 ოპერა: „ზაიდე“, „იდომენეოსი“, „ფიგაროს ქორწინება“, „დონ ჯოვანი“ და „ჯადოსნური ფლეიტა“, ბაროკოსა და კლასიციკლური ეპოქების მუსიკალური თეატრის, მოცარტის დროის შემსრულებლების და საშემსრულებლო ტრადიციების კონტექსტში, რადგან რთულია განიხილო მოცარტის შემოქმედება მისი ეპოქისგან განცალკევებით.

წინამდებარე შრომის **კვლევის საგანია** ჩემს საშემსრულებლო რეპერტუარში არსებული ლირიკული სოპრანოს პარტიები მოცარტის შემდეგი ოპერებიდან: „ზაიდე“ - ზაიდეს პარტია (Zaide), „იდომენეოსი“ - ელექტრას პარტია (Idomeneo), „ფიგაროს ქორწინება“ - სუზანასა და გრაფინიას პარტიები (Le nozze di Figaro), „დონ ჯოვანი“ - ცერლინას პარტია (Don Giovanni), „ჯადოსნური ფლეიტა“ - ჰამინას პარტია (Die Zauberfloete). ამ პარტიების შესრულების მხატვრული თუ ტექნიკური სირთულეები და მათი გადაჭრის გზები, მოცარტის ოპერების მე-18-ე საუკუნისა და თანამედროვე შემსრულებლობის კონტექსტში.

წინამდებარე კვლევის **მიზანია** მოცარტის კონკრეტული ოპერების მაგალითზე, ლირიკული სოპრანოს პარტიების შესრულების მხატვრული და ტექნიკური სირთულეების გამოკვეთა, პირადი საშემსრულებლო გამოცდილებიდან გამომდინარე მათი გადაჭრის გზების პოვნა და საჭირო რეკომენდაციების გაზიარება. აგრეთვე

მოცარტის თანამედროვე და დღევანდელ შემსრულებლობას შორის სხვაობისა და მსგავსების გამოვლენა და აქედან გამომდინარე საშემსრულებლო თვალსაზრისით პრაქტიკული დასკვნების გაკეთება.

ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო გახდა შემდეგი **ამოცანების** გადაჭრა:

1. მოცარტის დროის მუსიკალური თეატრის, მასში არსებული საოპერო ჟანრების შესწავლა, მათ შორის მოცარტის თანამედროვე - მე-18-ე საუკუნის კომპოზიტორების შემოქმედებასთან შედარების ჩრილში.
2. მოცარტის დროის შემსრულებლობის ძირითადი ასპექტების ანალიზი, იმ დროის საშემსრულებლო სტანდარტის შედარება თანამედროვე საშემსრულებლო მოთხოვნებთან.
3. მოცარტის ლირიკული სოპრანოს პარტიების შესწავლა და ანალიზი შემდეგი ოპერების მაგალითზე: „ზაიდე“, „იდომენეოსი“, „ფიგაროს ქორწინება“, „დონ ჯოვანი“ და „ჯადოსნური ფლეიტა“.
4. თითოეულ ამ ოპერაში არსებული ლირიკული სოპრანოს პარტიიდან თითო არიის კომპლექსური ანალიზი, როგორც თეორიული, ასევე საშემსრულებლო კუთხით.
5. ზაიდეს, ელექტრას, სუზანას, გრაფინიას, ცერლინას და პამინას პარტიების მაგალითზე, ლირიკული სოპრანოსთვის საშემსრულებლო სირთულეების განსაზღვრა და ამ სირთულეების გადაჭრის გზების ძიება.
6. მოცემული საოპერო პარტიების მაგალითზე, მოცარტის საოპერო პარტიების შესწავლისა და მათზე მუშაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით გენერალიზებული რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია:

ისტორიზმის პრინციპზე დაყრდნობით განვიხილავთ მოცარტის დროის მუსიკალურ თეატრს, მისი დროის მუსიკოს-შემსრულებლებსა და შემსრულებლობას. **აღწერითი** მეთოდი დაგვხმარა მოცარტისდროინდელი საოპერო ჟანრული მახასიათებლების, ასევე საშემსრულებლო ტრადიციების გამოვლენასა და მუსიკალური მასალის პირველად ანალიზში. თვისებრივმა და **კომპარატიულმა** მეთოდმა საშუალება მოგვცა განსაკუთრებით საშემსრულებლო კუთხით, პარალელები

გაგვევლო, ან პირიქით, შეგვეპირისპირებინა ვოკალური საშემსრულებლო ხელოვნების არსებული ნორმებისა და ტრადიციების განსხვავებები მოცარტის თანამედროვეობასა და დღეს არსებულ საშემსრულებლო მოთხოვნებს შორის. ეს მეთოდი შეუცვლელი აღმოჩნდა უკვე კონკრეტული საოპერო პარტიებისა და არიების გარჩევისა და ანალიზის დროს. კვლევის **კომპლექსური** მეთოდი დაგვეხმარა როგორც კონკრეტული 6 საოპერო არიის ანალიზისას, აგრეთვე ნაშრომის საშემსრულებლო ნაწილზე მუშაობისას, რომელშიც კომპლექსურად განვიხილავთ მოცარტის ლირიკული სოპრანოს პარტიების შემსრულებლობის მხატვრულ და ტექნიკურ სირთულეებს. **ანალიტიკური** მეთოდი დაგვეხმარა მოცარტის 6 სრულიად განსხვავებული საოპერო პარტიისა და მათი საშემსრულებლო პრობლემატიკის განხილვასა და გააზრებაში, კვლევის შედეგების თავმოყრასა და დასკვნების გაკეთებაში.

სადისერტაციო კვლევის **სიახლეს და პრაქტიკულ მნიშვნელობას** პირველ რიგში განსაზღვრავს მოცარტის საოპერო შემოქმედებაში ლირიკული სოპრანოს როლის წინა პლანზე წამოწევა, ლირიკული სოპრანოს პარტიების და არიების კომპლექსური ანალიზი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული, საშემსრულებლო კუთხით და მოცარტის საოპერო პარტიების შესწავლის, მათზე მუშაობისა და მათი შესრულებისათვის საჭირო პრაქტიკული საშემსრულებლო რეკომენდაციები.

კვლევაზე მუშაობისას დავამუშავეთ დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც თემატური თვალსაზრისით 8 ჯგუფად დავყვავით და რომელიც მოიცავს ფუნდამენტურ კვლევებს, ენციკლოპედია-ლექსიკონებს, კვლევებს, რომლებიც ეძღვნება შესრულების, ინტერპრეტაციის საკითხებს, ვოკალურ ხელოვნებას, სასიმღერო ოსტატობასა და შემსრულებლობას, მუსიკალური ფორმის ანალიზს, სასიმღერო დიქციას. საშემსრულებლო ხელოვნების მეცნიერული შესწავლისას საკვლევ საკითხთან დაკავშირებული უახლესი უცხოენოვანი ლიტერატურის შემოტანა ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში ზრდის სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას.

სამწუხაროდ, ქართულ მუსიკოლოგიასა და ვოკალური შემსრულებლობის მიმართულებით კვლევითი ხასიათის შრომები მოცარტზე არ მოგვეპოვება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მოცემული ნაშრომი დაეხმარება მომავალი თაობის როგორც შემსრულებლებს, ასევე მოცარტის შემოქმედების მკვლევრებსა და მუსიკოლოგებს,

მისცემს მათ ბიძგს სამომავლოდ ამ მიმართულებით ახალი კვლევების განსახორციელებლად.

დისერტაციას აპრობაცია გავლილი აქვს 2023 წლის 8 ივნისს სოლო აკადემიური სიმღერის კათედრაზე.

ნაშრომის შინაარსი

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი ძირითადი თავის, თერთმეტი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან (ბიბლიოგრაფია - 88) , სულ მოიცავს ნაბეჭდ 163 გვერდს. შრომას თან ახლავს დანართი, რომელშიც შესულია საოპერო არიების სანოტო მაგალითები (პარტიტურები ბერენრაიტერის რედაქციით), ინტერვიუ ცნობილ ავსტრიელ დირიჟორთან - გუსტავ კუნთან და მოკლე, ენციკლოპედიური ხასიათის მონაცემები მოცარტის დროის კომპოზიტორებსა და მათ შემოქმედებაზე. შრომას თან ახლავს კომპაქტ დისკი ექვსივე გაანალიზებული არიის აუდიო და ვიდეო ჩანაწერებით ჩემი შესრულებით.

ნაშრომის **შესავალში** დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, თემის სამეცნიერო სიახლე და მისი პრაქტიკული დანიშნულება, წარმოდგენილია კვლევის ობიექტი და საგანი, აღწერილია კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია. ვრცლად არის განხილული დამუშავებული და კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა.

I თავი - “მოცარტი, მისი დროის მუსიკალური თეატრი, საოპერო ჟანრები და შემსრულებლობა; სოპრანოს ტიპები მოცარტის ოპერებში“

პირველ ქვეთავში - „საოპერო ჟანრები მოცარტის დროის მუსიკალურ თეატრში“ განხილულია ავსტრო-უნგრული იმპერიის ცენტრში - ვენაში არსებული მე-18-ე საუკუნის სამი წამყვანი საოპერო ჟანრი: ბაროკოს ეპოქიდან მომავალი ოპერა seria, კლასიციტური ეპოქის პირმშო - ოპერა buffa და ავსტრიული ეროვნული კომიკური ოპერის ახალგაზრდა ჟანრი - ზინგშპილი. წინა პლანზეა წამოწეული მოცარტის საოპერო შემოქმედებაში ჟანრული პრიორიტეტების საკითხი. აღწერილია ის ფაქტორები, რამაც განაპირობა სერიოზული ოპერის კრიზისი ეპოქათა გასაყარზე, მისი

გარდაქმნის აუცილებლობა და კ.ვ. გლიუკის საოპერო რეფორმის მნიშვნელობა. თავისი მიზეზები ჰქონდა ოპერა buffa-ს წარმოშობასა და მზარდ პოპულარობას, რაც თავად კლასიციკლური ეპოქის ესთეტიკას და ფრანგი განმანათლებლების მსოფლმხედველობას უკავშირდება. ამ თავში აღვწერთ მოცარტის საოპერო პრიორიტეტების მოტივაციასა და მიზეზებს, თუ რატომ დომინირებს მის შემოქმედებაში იტალიური ოპერა გერმანულზე, ხოლო იტალიურში კი კომიკური ოპერა სერიოზულზე. მიზეზთა შორის მოყვანილია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა კომპოზიტორის სიახლოვე იტალიურ მუსიკალურ კულტურასთან, იტალიელ ვირტუოზ მომღერლებთან, მათ შორის ცნობილ კასტრატებთან და არცთუ ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი - დამკვეთის სურვილი ყოფილიყო ესა თუ ის ოპერა კომიკური, თუ სერიოზული.

მეორე ქვეთავში - „მოცარტის დროის კომპოზიტორები და მომღერლები“ - განვიხილავთ კლასიციკლური პერიოდის ათობით კომპოზიტორს, რომლებიც ცნობილ კლასიკოსებთან ერთად ქმნიდნენ ამ ეპოქის მუსიკალურ კულტურას, რომელთა შემოქმედება ზოგ შემთხვევაში ვენის კლასიკოსებად წოდებულ გენიოს კომპოზიტორთა ნაწარმოებებზე მეტად პოპულარული და წარმატებული იყო თავის დროზე და რომელთა შემოქმედებაც გვეხმარება ნათლად აღვადგინოთ ეპოქის მუსიკალური სტილის თუ ჟანრული მახასიათებლები. რადგან სწორედ „რიგითი“ კომპოზიტორების შემოქმედება არის ზუსტ თანხვედრაში ეპოქის მახასიათებლებსა და მიღწევებთან, მაშინ, როცა გენიოსი კომპოზიტორის შემოქმედება ვერ თავსდება ერთი ეპოქის ჩარჩოებსა და საზღვრებში, ხშირად აერთიანებს წარსულისა და აწმყოს მიღწევებს და უკვე მიმართულია მომავლისკენ. ამ ქვეთავში განვიხილავთ ისეთი კომპოზიტორების საოპერო შემოქმედებას და მათ ჟანრულ პრიორიტეტებს, როგორებიც არიან: ნიკოლო პიჩინი, ნიკოლო იომელი, ტომაზო ტრაეტა, ვისენტე მარტინ ი სოლერი, ჯუზეპე სარტი, დომენიკო ჩიმაროზა, ჯოვანი პაიზიელი, ანტონიო სალიერი, ლეოპოლდ კოჟელუხი, დომენიკო ფისკიეტი,ჯოვანი ბატისტა მარტინი... ეს ის კომპოზიტორებია, რომელთა შემოქმედება უსაზღვროდ პოპულარული იყო მოცარტის მოღვაწეობის დროს და რომელთა მუსიკალური მემკვიდრეობის გარკვეული ნაწილის აღდგენის მცდელობები აქტიურად მიმდინარეობს ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე. ქვეთავში შედარებულია მათი შემოქმედება მოცარტის საოპერო

შემოქმედებასთან, განხილულია მოცარტის ნოვატორობა ამ ჟანრში. საუბარია იმაზე, რომ მისი ოპერების უმრავლესობა არ განეკუთვნება ერთ კონკრეტულ ჟანრს და ხშირად აერთიანებს კომიკური და სერიოზული ოპერის მახასიათებლებს. რომ ხშირად მოცარტთან კომიკურ ოპერაში იჭრება სერიოზული ოპერის ნიშნები, იქნება ეს გმირთა ინდივიდუალიზირებული მუსიკალური დახასიათება თუ კონკრეტული საოპერო ნომრები. მოცარტთან პირველად ხდება ასეთი თანაბარი ძალით კომედიისა და დრამის შერწყმა.

ამავე ქვეთავში განხილულია მოცარტის დროის მომღერლები და მათი საშემსრულებლო ხელოვნების თავისებურებები. ალოიზია ვებერი, ნენსი სტორაჩე, იოზეფა დუშეკი, ჯუზეპე ლოლი, ლუიზა ვილნევი, კატარინა კავალიერი, კატერინა ბონდინი, ლუიჯი ბასი, ლუიზა ლასკი, ანა გოტლიბი, ანა მილდერ-ჰაუფტმანი, ადრიანა ფერარეზე დელ ბენე, ფრანჩესკო ბენუჩი, ჯოვანი მანცუოლი, ანტონ რააფი, ფრანც გერლი - ეს მცირე ჩამონათვალია მომღერლებისა, ვისთანაც გენიოსი კომპოზიტორი თანამშრომლობდა და ვისთვისაც ის წერდა საოპერო პარტიებსა თუ საოცარი სირთულის საკონცერტო არიებს (რომლებსაც კომპოზიტორი „კარგად მორგებულ კაბას“ ადარებს, იმდენად ზუსტად უნდა ყოფილიყო ეს საკონცერტო არიები მომღერლის შესაძლებლობებს მორგებული, რაც განაპირობებს კიდევაც მათ სირთულეს და ინდივიდუალურობას). ქვეთავში განვიხილავთ მე-18-ე საუკუნის მომღერლების რეპერტუარსა და მათი საშემსრულებლო ხელოვნების თავისებურებებს. საინტერესო აღმოჩნდა მათი შედარება თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების თავისებურებებთან და აგრეთვე თანამედროვე მომღერლების რეპერტუართან, დაისვა საკითხი თანამედროვე საშემსრულებლო პრაქტიკაში რეპერტუარის ძალზე ვიწრო ჩარჩოებში განაწილებაზე, შედარებულია ახლანდელი და მაშინდელი საოპერო მომღერლების რეპერტუარი. დაისვა თანამედროვე შემსრულებლობის ისეთი პრობლემური საკითხები, როგორებიცაა ორკესტრის ჟღერადობის ამაღლება, ორკესტრის შემადგენლობის გაზრდა, საოპერო თეატრებისა და საკონცერტო დარბაზების ზომის ბევრად გაზრდა მაშინდელთან შედარებით. გაირკვა, რომ ამ ცვლილებებმა განაპირობა საშემსრულებლო ხელოვნებაში დიდი ცვლილებები. დავასკვნით, რომ თანამედროვე მომღერლებს ბევრად უფრო მრავალფეროვან რეპერტუართან უწევთ გამკლავება, ვიდრე მოცარტის დროის შემსრულებლებს.

მესამე ქვეთავი - „საშემსრულებლო ხელოვნების თავისებურებები“. ჩემთვის, როგორც შემსრულებლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ ქვეთავზე მუშაობა. კლასიციკლურ ეპოქაში მოცარტის მოღვაწეობის ჩათვლით წამყვანი და მთავარი ჟანრი არის ოპერა, ამ იერარქიას ცვლის უკვე ბეთჰოვენი სონატურ-სიმფონიური ციკლის დომინირებით. შესაბამისად ვოკალური ხელოვნება არის მთავარი, პირველადი და მისგან იღებს სათავეს ინსტრუმენტული შემსრულებლობა. ასე თვლიდნენ იმ დროის წამყვანი მუსიკოსები, კომპოზიტორები, პედაგოგები (ლეოპოლდ მოცარტი, ფილიპ ემანუელ ბახი და სხვები).

მკაფიო და დეტალურ წარმოდგენას მე-18-ე საუკუნის ვოკალურ საშემსრულებლო ხელოვნებაზე იძლევა ჯოვანი ბატისტა მანჩინის ტრაქტატი “პრაქტიკული მოსაზრებები და ფიქრები სიმღერაზე” (1774), ისევე, როგორც პიერ ფრანჩესკო ტოზის არანაკლებ ცნობილი ტრაქტატი “*Observations on the florid song*” (1723). აღსანიშნავია, რომ ამ ტრაქტატებში მოცემული სასიმღერო „მოდელი“ დღესაც აქტუალურია. განსაკუთრებით ისეთი ფუნდამენტური მომენტები, როგორცაა თავისუფალი ბგერათწარმოქმნა, ყელის ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, სრულყოფილი ინტონაცია, ლეგატო, დინამიკის სრული კონტროლი, სუნთქვაზე დამყარებული ბგერა, სუნთქვაზე “ლივლივი”, რეზონანსების გამოყენება, მანჩინის ტრაქტატში აღნიშნულია აგრეთვე რეგისტრების შეერთების და ეგრეთ წოდებული „მიქსის“ გამოყენების შესახებ.

თუმცა, ამ ქვეთავში ჩვენ განვიხილავთ არა მხოლოდ ვოკალური ხელოვნების თავისებურებებს, არამედ ისეთ ფუნდამენტურ საშემსრულებლო მომენტებს, რომლებიც ეხება ნებისმიერ შემსრულებელს, იქნება ეს მომღერალი, თუ ინსტრუმენტალისტი. ქვეთავში დაწვრილებით ვეხებით ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ტემპი და მეტრი, ფრაზირება, არტიკულაცია, დინამიკა, ორნამენტაცია, აპოჯატურა, ვარიაციები და სამშვენიისები, პორტამენტო და messa di voce, ვიბრატო, ფერმატო, კადენცია, რეჩიტატივი, დეკლამაცია და ბოლოს არიის არსებულ ტიპებსა და მათ მახასიათებლებს. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა თითოეულ პუნქტში საშემსრულებლო ტრადიციების შედარება ბაროკოს, კლასიციკლური ეპოქის და თანამედროვე შემსრულებლობას შორის. გამოიკვეთა ბევრი სხვაობა. მაგალითად დღეს აღარ გამოიყენება არტიკულირებული ბგერა, ყელის არტიკულაცია, რაც საკმაოდ გავრცელებული იყო ბაროკოსა და კლასიციკლურ ეპოქაში. ტემპისა და მეტრის მხრივ

შეგვიშნავთ, რომ ეს ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ამ ეპოქის მუსიკაში, ჯერ არ არსებობს, შესაბამისად არ არსებობს ზუსტი მითითება, თუმცა არსებობს იტალიური აღნიშვნები, რაც გვეხმარება მოძრაობის სისწრაფის განსაზღვრაში. გარდა ამისა, არსებობს გრძლიობები და მეტრი, რაც ასევე გვეხმარება სწორი ტემპის განსაზღვრაში. კლასიციკლურ ეპოქაში ნაკლებად იყო მიღებული რუბატოს ხშირი გამოყენება, თუმცა თავად მოცარტის წერილები მოწმობს, რომ გარკვეულ ადგილებში იგი მიმართავს რუბატოს. კლასიციკლური პერიოდის დინამიკა ბაროკოსთან შედარებით უფრო მრავალფეროვანი და მეტად გრადუალური ხდება, რითაც ის განსხვავდება ბაროკოს ე.წ. ტერასული ტიპის დინამიკისგან. ორნამენტაცია ერთგვარად გარდამავალ ფაზაშია ბაროკოს პერიოდის სრულიად თავისუფალ, იმპროვიზირებულ ორნამენტაციასა და მომდევნო, რომანტიზმის ეპოქის ზუსტად გამოწერილ ორნამენტაციას შორის.

საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა აპოჯატურები, რაც დღესაც ხშირად გამოიყენება მოცარტის ოპერებში, განსაკუთრებით რეჩიტატივებში *secco*. რაც შეეხება ვარიაციებსა და სამშვენისებს, კლასიციკლური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ისინიც ხდება უფრო სადა, გაწონასწორებული და კონკრეტულად მოცარტის შემთხვევაში, როგორც ამას თავად კომპოზიტორის წერილებიც მოწმობს, მისი სურვილის შესაბამისად, სამშვენისი უნდა გამომდინარეობდეს შინაარსიდან და არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ გარეგნულ ეფექტს. პორტამენტო - კლასიციკლურ ეპოქაში საკმაოდ გავრცელებული იყო, თითქმის ყველა ბგერის დაკავშირება ერთმანეთთან ასე ხდებოდა. დღეს, რა თქმა უნდა, ამ დოზით არ ვიყენებთ პორტამენტოს. *Messa di voce* - აგრეთვე საკმაოდ გავრცელებული იყო მე-18-ე საუკუნის ვოკალურ საშემსრულებლო ხელოვნებაში, თითქმის ყველა გრძელ ბგერაზე, გამოიყენებოდა როგორც ვარიების, გამშვენების ერთ-ერთი ხერხი. რაც შეეხება ვიბრატოს - აქაც რადიკალური სხვაობა გვაქვს: თანამედროვე საოპერო მღერა წარმოდგენელია ვიბრატოს გარეშე, მაშინ, როცა მე-18-ე საუკუნეში ვიბრატოც იყო ორნამენტაციის ერთ-ერთი ხერხი და მხოლოდ განსაკუთრებულ მომენტებში გამოიყენებოდა - მაგალითად, დიდი მღელვარების გადმოსაცემად. ფერმატო - მოცარტის დროს დაუწერელი კანონი იყო ფერმატოს შევსება კადენციით, სამშვენისებით, რაც დღეს ბევრად უფრო ნაკლებად გვხვდება. თუმცა მოსაზრება, რომ კომპოზიტორის დაწერილი სუფთა ტექსტი წმინდაა და ისე უნდა

შესრულდეს, როგორც წერია, თანამედროვეობის გამოგონებაა. მოცარტის დროს წარმოდგენელი იყო, რომ შემსრულებელს ზუსტად და მხოლოდ ის ემღერა, რაც ნოტებში ეწერა. კომპოზიტორებიც ხშირად მხოლოდ მწირ დინამიურ აღნიშვნებს იყენებდნენ, რათა შემსრულებლის ფანტაზიისთვის მეტი გასაქანი მიეცათ.

მეოთხე ქვეთავი - „სოპრანოები მოცარტის ოპერებში; ხმის ტიპის განსაზღვრა ტემბრის, დიაპაზონისა და მელოდიკის მიხედვით“. ამ ქვეთავში დაწვრილებით განვიხილავთ სოპრანოს დღეისათვის არსებულ ტიპებს, რომლებიც აქტუალურია მოცარტის საოპერო შემოქმედებასთან მიმართებაში: ლირიკული, ლირიკო-კოლორატურული, კოლორატურული, სუბრეტი, დრამატული და ლირიკო-დრამატული სოპრანო. აღწერილია თითოეული მათგანის მახასიათებლები - დიაპაზონი, ტემბრი, ხასიათი, მოცულობა. შედარებულია ისინი ამ და სხვა მახასიათებლების მიხედვით, როგორებიცაა მაგალითად მელოდიკის ტიპი, რეპერტუარი. მოცარტის დროს არ არსებობდა ხმების იმგვარი დაყოფა რეპერტუარის მიხედვით, რაც დღეს გვაქვს, და რაც მოცარტის შემდგომმა ეპოქებმა და ახალმა რეპერტუარმა მოიტანა. კომპოზიტორის მოღვაწეობის პერიოდში მეცოსოპრანოც კი არ იყო მკაფიოდ გამიჯნული სოპრანოსგან. მოცარტის დროის შემსრულებლები ბევრად უფრო კომპლექსურად იყვნენ მომზადებულნი და ერთნაირი წარმატებით მღეროდნენ ცერლინასა და გრაფინიას პარტიებს, მოცარტის საკონცერტო არიებს და საოპერო პარტიებს, რასაც დღეს მკაფიოდ გამიჯნული რეპერტუარის შემსრულებელ მომღერლებს ანდობენ ხოლმე. თუმცა, ჩემთვის მთავარი სათქმელი რეპერტუარის, მოცარტის ოპერებში სოპრანოს ტიპის განსაზღვრის მიმართულებით არის ის, რომ უმთავრესია მაინც გამოვდიოდეთ გმირის ხასიათიდან, პარტიის ძირითადი არიებისა და საანსამბლო ნომრების მელოდიკიდან და გამომსახველობიდან.

II თავი - „ანალიტიკური ეტიუდები“. მეორე თავი ექვსი ქვეთავისგან შედგება და თითოეულ ქვეთავში განხილულია თითო არია მოცარტის ჩვენს მიერ გაანალიზებული პარტიებიდან. 1 - ოპერა „ზაიდუ“ (1780), I მოქმედება, **ზაიდუს არია „ Ruhe sanft“**; 2 - ოპერა „იდომენეოსი“ (1781), III მოქმედება, **ელექტრას რეჩიტატივი და არია „Oh, smania, oh, furie... D’Oreste, d’Ajace“**; 3 - ოპერა „ფიგაროს ქორწინება“ (1786), **გრაფინიას რეჩიტატივი და არია „E Susanna non vien...Dove sono i bei momenti“**; 4 - ოპერა „ფიგაროს ქორწინება“ (1786), IV მოქმედება, **სუზანას რეჩიტატივი და არია „Giunse alfin il**

momento...Deh, vieni, non tardar...”; 5 - ოპერა „დონ ჯოვანი“ (1787), I მოქმედება, ცერლინას არია „Batti, batti, o bel Masetto”; 6 - ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“ (1791), II მოქმედება, პამინას არია “Ach, ich fuehl’s”.

არიებს განვიხილავთ კომპლექსურად, როგორც თეორიული, ასევე საშემსრულებლო ანალიზის კუთხით, რადგან თითოეული არიის ანალიზისას მოცემულია პრაქტიკული რჩევები და რეკომენდაციები მათ შესრულებასთან დაკავშირებით. დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული არიის მუსიკალურ ფორმას, ჟანრულ მახასიათებლებს, მელოდიკის ტიპს როგორც არიებში, ასევე რეჩიტატივებში, თანხლების ფუნქციებს, ჰარმონიას, ვოკალური ხაზისა და ტექსტის ურთიერთდამოკიდებულებას, ხასიათს, არიის ტიპს, ორნამენტაციის შესრულების საკითხებს. ჩვენს მიერ განხილული 6 არია განსხვავებულია როგორც ჟანრული, ასევე ფორმაქმნადობის, მელოდიკის ტიპის, ხასიათის თვალსაზრისით, თუმცა მათ თანხვედრის, გადაკვეთის წერტილებიც აქვთ. ამავე თავის დასკვნაში შედარებული გვაქვს არიები სწორედ სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით, დადგენილია მათი მსგავსებები და განსხვავებები და გამოკვეთილია გარკვეული კანონზომიერებები შემდეგი მიმართულებებით: **დრამატურგიული თავისებურებები** - ზოგი არია არის არია მონოლოგი, ზოგიერთი მიმართულია სხვა პერსონაჟის, ან მოვლენის მიმართ. ის, თუ **რა ჟანრის** ოპერაშია ჩართული ესა თუ ის არია, რამდენად ტიპურია და რა კანონზომიერება იკვეთება ამ მხრივ: მაგალითად ელექტრას არია ნამდვილი „აფექტის“ არიაა და თავსებედია სერიოზულ ოპერასთან. ცერლინას არია - „მოქმედების“ არიაა და ისიც „დონ ჯოვანის“ კომიკურ მხარეს შეესაბამება, მაგრამ გრაფინიას ლამენტოს ხასიათის არიები ნაკლებ ტიპურია კომიკური ოპერისთვის, ისევე, როგორც პამინას ლამენტოზო შეჭრილია ზინგშპილში. შესაბამისად, გვიანდელი პერიოდის ოპერებში მოცარტი არღვევს ჟანრული მიკუთვნების დადგენილ ნორმებს. გარკვეული კანონზომიერება დგინდება **მუსიკალურ ფორმასთან** მიმართებითაც - მოცარტის გვიანდელ ოპერებში აქცენტი გადადის დრამატურგიულ საწყისზე და არიების რთული სამნაწილიანი და მასშტაბური სონატური ფორმებიდან (ზაიდუ, ელექტრა) გადავდივართ მარტივ ფორმებზე (სუზანასა და პამინას არიები). განხილული გვაქვს - **ფორმის სტანდარტული და თავისუფალი გააზრება**, რაც შემოქმედების სხვადასხვა პერიოდებს უკავშირდება: მოცარტის გვიანდელ ოპერებში ვხვდებით არიის ფორმის

მეტად თავისუფალ გააზრებას (გრაფინიასა და ცერლინას არიები). გარკვეული კანონზომიერება იკვეთება არიების **შინაარსობრივ თავისებურებებთან** მიმართებაში: არიები, რომლებიც ერთგვაროვან განწყობას გადმოსცემენ მეტად სტანდარტული ფორმითაც გამოირჩევიან (სუზანა, პამინა, ზაიდე). მათგან განსხვავებით, არიები, სადაც მეორე ნახევარში ხასიათის ცვლილებასთან გვაქვს საქმე (გრაფინია, ცერლინა), ან ემოციების მრავალფეროვან სპექტრს გამოხატავენ (ელექტრა) - მეტად არასტანდარტულ, შერეულ ფორმაშია დაწერილი. ყველა არიაში **საორკესტრო თანხლება** რამდენიმე **ფუნქციას** აერთიანებს: ზოგჯერ ის დეტალიზებულ დამოკიდებულებაშია ვოკალურ პარტიასთან, ზოგჯერ ჟღერს უნიკონში, ხან კი კონტრაპუნქტს ქმნის მასთან. გარდა ამისა, ყველა არიაში არის საორკესტრო ჩართვები, რომელთაც შეკავშირების, კომპლემენტაციის ან განახლების, ახალი მუსიკალური მასალის შემოტანის ფუნქცია აკისრიათ. **მელოდიკის ტიპების** მიხედვით არიების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ყველა არიის რეჩიტატივში ჭარბობს დეკლამაციური მელოდიკა, თუმცა ზოგან შემოიჭრება არიოზული საწყისი (ელექტრას რეჩიტატივი *accompagnato*). ყველა არიაში გვხვდება მელოდიკის რამდენიმე ტიპის ნაზავი, სადაც ერთ-ერთი მათგანი არიოზული მელოდიკაა. ეს თვისება აერთიანებს ექვსივე არიას. ცალკეულ არიებში ვხვდებით კანტილენურ (ზაიდე, გრაფინია), საცეკვაო (ცერლინა), დეკლამაციური მელოდიკის ტიპებს (ელექტრა, პამინა). **მუსიკისა და ვერბალური ტექსტის ურთიერთდამოკიდებულების** თვალსაზრისით, არიები ორ ჯგუფად იყოფა: „აფექტის“ არიებში (ელექტრა, ნაწილობრივ პამინა და გრაფინია) მუსიკა დომინირებს ვერბალურ ტექსტზე, დანარჩენ სამ არიაში - ცერლინა, სუზანა და ზაიდე - ტექსტი და ვოკალური პარტია დეტალიზრებულად მიჰყვება ერთმანეთს. გრაფინიას არია ორივე მომენტს აერთიანებს, რადგან ეს კომპლექსური არიაა. არიების ამგვარი კომპლექსური ანალიზი მნიშვნელოვანია საშემსრულებლო თვალსაზრისითაც, რადგან ის აადვილებს არიის ფორმის გააზრებას, მის სტრუქტურირებას, დრამატურგიული აქცენტების გამოკვეთას და მნიშვნელოვანია, როგორც საბაზისო ცოდნა. და ბოლოს **საშემსრულებლო სირთულეებზე** საუბრისას თავმოყრილია ტექნიკური, თუ მხატვრული ინტერპრეტაციის ის პრობლემატიკა, რაც ამ არიებს აერთიანებს, მათ შორის ცენტრალური ტესიტურა, გარდამავალი რეგისტრის, როგორც ძირითადი და წამყვანი რეგისტრის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში გამჭვირვალე ფაქტურა თანხლებაში, გრძელი ფრაზები, ნახტომები ფართო ინტერვალებზე, მელოდიურ

აკორდებზე აგებული ფრაზები. მხატვრული ინტერპრეტაციის სირთულეები გულისხმობს სიზუსტეს მუსიკალური ტექსტის წაკითხვისა და შესრულებისას, სისადავეს, მუსიკალურ გემოვნებას (აქ ვგულისხმობთ როგორც ვარირების, ორნამენტირების სწორად შერჩევას, ასევე რუბატო-ს მინიმალურ გამოყენებას), არიების გამთლიანებას ფორმის მხრივ, დინამიკის, როგორც გამრავალფეროვნების საშუალების გამოყენებას, გულწრფელობას.

III თავი - “მოცარტის საოპერო პარტიების შესრულების მხატვრული და ტექნიკური სირთულეები და მათი გადაჭრის გზები“. ეს თავი მთლიანად ეყრდნობა ჩემი, როგორც შემსრულებლის პრაქტიკულ გამოცდილებას, შეიცავს პრაქტიკულ რჩევებსა და რეკომენდაციებს ისევე, როგორც კონკრეტულ სავარჯიშოებს. ტექნიკური ხასიათის პრობლემებიდან განხილულია **სწრაფი, ტექნიკური პასაჟების, სტოკატოების, დიდი ინტერვალური ნახტომების, ლეგატოს** შესრულების სირთულეები და მოცემულია ამ მიმართულებით მუშაობის გზები როგორც ფიზიკური, მუსიკალური, ასევე მენტალური მომზადების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა **გამოთქმას, დიქციას** როგორც იტალიური, ასევე გერმანული ენის შემთხვევაში. განხილულია როგორც თანხმოვნების გამოთქმასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ღია და დახურული ხმოვნების სპეციფიკა და გამოთქმის მნიშვნელობა ზოგადად ოპერაში, მაგრამ განსაკუთრებით მშრალ რეჩიტატივებში. ცალკე ქვეთავები ეთმობა **ანსამბლებს და რეჩიტატივებს**. მოცემულია მათი ტექსტუალური შესწავლისა და მათზე მუშაობის რეკომენდაციები და რჩევები, მათ შორის თანხლებასა და სხვა პერსონაჟების პარტიებთან მიმართებაში. ქვეთავში **ორნამენტაცია** განვიხილავთ მოცარტის საოპერო პარტიების გამშვენების შესაძლო ვარიანტებს, როგორც სოლო მუსიკალურ ნომრებში, ასევე რეჩიტატივებში. ჩემს გამოცდილებაზე დაყრდნობით, ვურჩევ მომღერლებს გამრავალფეროვნონ მოცარტის მუსიკა დინამიკის და მცირედი სამშვენისების ხარჯზე, ორნამენტაცია არ უნდა იყოს ვალდებულება, არამედ უნდა მომდინარეობდეს მუსიკის ხასიათიდან, შინაარსიდან, უნდა იყოს სადა და გამომსახველი. ამ ქვეთავში ასევე განვიხილავთ არიის განვითარების სამ ეტაპს მოცარტის საოპერო შემოქმედებაში, რადგან ორნამენტაცია მჭიდრო კავშირშია ამასთან. აქ ვგულისხმობთ, რომ მოცარტის გვიანდელ საოპერო შემოქმედებაში ნაკლები ადგილია თავისუფალი ორნამენტაციისთვის, რადგან იცვლება არიის ფუნქცია, მასშტაბი და ხასიათი, იგი

მეტად ჩართულია დრამატურგიულ განვითარებაში და შესაბამისად, ნაკლებად „ექვემდებარება“ ვარირებასა და გამშვენებას.

ბოლო ქვეთავში **მხატვრული სახის (ხასიათის) სირთულეები და მათი გადაჭრის გზები**, ჩვენ ვსაუბრობთ უმთავრესზე მოცარტის მუსიკის შესრულებისას - ეს არის მისი მუსიკის კომპლექსურობა, მისი მუსიკის სრულყოფილება და მთლიანობა, რომელიც არ უნდა დაირღვეს. ვოკალური პარტია, ხმა, მოცარტის სრულყოფილი მუსიკალური ქარგის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ასეთად უნდა იქნას აღქმული და გააზრებული. მნიშვნელოვანია მივყვეთ ავტორის ტექსტს, ჩავწვდეთ მის სურვილს, თუ რისი გამოხატვა უნდოდა ამა თუ იმ ფრაზით, მუსიკალური აზრით. გმირის მხატვრული სახის გააზრებისას მნიშვნელოვანია მთლიანი ლიბრეტოს ზედმიწევნით კარგად შესწავლა, ლიტერატურული პირველწყაროს გაცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რა თქმა უნდა დირიჟორებთან და რეჟისორებთან მუშაობა. რაც ასევე უმნიშვნელოვანესია საბოლოო შესრულებისას - ავთენტურობა, სისადავე, ჩვენი შესაძლებლობებით, ჩვენივე ასაკისა და გამოცდილების შესაფერისი ამოცანების დასახვა და შესრულება, გულწრფელი და ხალასი ინტერპრეტაციის მსმენელამდე მიტანა, რაც არ დარჩება შეუმჩნეველი.

დასკვნაში თავმოყრილია ჩატარებული კვლევის შედეგები თანმიმდევრულად. ვიწყებთ მოცარტის დროის საოპერო თეატრიდან და მასში არსებული საოპერო ჟანრებიდან. მოცარტის საოპერო შემოქმედების მისი თანამედროვე კომპოზიტორების შემოქმედებასთან შედარებით გაირკვა, რომ სტილური და გამომსახველობითი მახასიათებლებით ისინი სრულ თანხვედრაშია. მაგრამ მოცარტის ნოვატორობა გამოიხატება მისი ოპერების ჟანრულ მახასიათებლებში: თითმის არცერთი მისი ოპერა არ ჯდება ზუსტად ეპოქისთვის დამახასიათებელ ჩარჩოებში. მათი უმრავლესობა აერთიანებს კომიკური და სერიოზული ოპერის მახასიათებლებს, მათში ჩნდება გმირების არატიპიზირებული, ინდივიდუალური მუსიკალური თუ დრამატურგიული დახასიათება, რაც უკვე რომანტიზმის ეპოქისკენაა მიმართული. მოცარტთან პირველად ჩნდება არიის არასტანდარტული, განვითარებადი, შერეული ფორმები, რაც უშუალო კავშირშია გმირის სახის გახსნასა და გამოხატვასთან (ინდივიდუალურ დახასიათებასთან).

მოცარტის დროის შემსრულებლების და შემსრულებლობის შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ იგი ბევრი მახასიათებლით განსხვავდება თანამედროვე შემსრულებლობისგან. მაგალითად, დღეს აღარ გამოიყენება არტიკულირებული ბგერა, ვიბრატოს გარეშე სიმღერა, რეგისტრების გამოიყენება, არამედ პირიქით, ვესწრაფვით მთელს დიაპაზონზე რეგისტრულ გამთლიანებას. გამოიკვეთა სხვაობები მხატვრული შესრულების თვალსაზრისითაც: ტემპის, მეტრის, ორნამენტაციის, ვარირების, რეპერტუარის თვალსაზრისით.

მოცარტის ჟანრულად განსხვავებული არიების კომპლექსურმა ანალიზმა ცხადყო ლირიკული სოპრანოს წინაშე მდგარი სირთულები და ამოცანები და მოგვამებნინა ამ სირთულების გადაჭრის შესაძლო გზები. ამგვარი ანალიზი თეორიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი საფუძველია საშემსრულებლო კუთხით, რადგან იგი გვეხმარება ფორმის, სტრუქტურის გააზრებაში, თანხლებისა და სასიმღერო პარტიის ურთიერთდამოკიდებულების გამოკვეთაში, სწორი დრამატურგიული აქცენტების მოძებნაში, ტექსტუალური, ვერბალური მხარის მნიშვნელობის ხაზგასმაში და საბოლოო ჯამში დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

საშემსრულებლო თავში წამოწეული ტექნიკური თუ მხატვრული ინტერპრეტაციის პრობლემატიკა მნიშვნელოვანია როგორც ლირიკული სოპრანოს რეპერტუარის, ისე ზოგადად, მოცარტის საოპერო პარტიების შემსრულებლებისთვის. აქ თავმოყრილი რეკომენდაციები პრაქტიკოსი მომღერლის შემოქმედებით მიებებზე, ცნობილ დირიჟორებსა და რეჟისორებთან მუშაობასა და საშემსრულებლო გამოცდილებაზე დაყრდნობითაა შემუშავებული და ვფიქრობთ, რეალურ დახმარებას გაუწევს მოცარტის შემსრულებლებს, გაუადვილებთ მათ კომპოზიტორის საოპერო რეპერტუარის შესწავლასა და შესრულებას.

დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. ს. გორდელაძე „მოცარტი და მისი დროის მუსიკალური თეატრი“. ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. რეცენზირებადი ელექტრონული

სამეცნიერო ჟურნალი; ვ. სარაჯიშვილისი სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; რედ.: მ. ქავთარაძე. 2021, N2 (24). მის.: http://gesj.internet-academy.org.ge/ge/index_ge.php

2. ს. გორდელაძე „მოცარტის დროის საოპერო მომღერლები და საშემსრულებლო ხელოვნების თავისებურებები XVIII საუკუნეში“. ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი; ვ. სარაჯიშვილისი სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; რედ.: მ. ქავთარაძე. 2021, N2 (24). მის.: http://gesj.internet-academy.org.ge/ge/index_ge.php

V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

With the right to manuscript

Sopio Z. Gordeladze

The lyric soprano parts in W. A. Mozart operas. The complexities of the artistic and technical interpretation and the ways to overcome them

Submitted for the academic degree Doctor of Musical Arts

Dissertation

A B S T R A C T

M U S 0215. 1. 9: Solo Academic Singing

Tbilisi 2023

Scientific supervisor:

MARINA KAVTARADZE

PhD, Professor

Expert:

Ekaterine Oniani

PhD, Assoc. Professor

The defense of the dissertation will take place at the meeting of the dissertation council N 4 of the Tbilisi State Conservatoire on 08.12. 2023, at 17.00 pm

Address: Tbilisi State Conservatoire,
Griboedov str. N 8/10, 4ths floor, lecture room #421

The Dissertation and Abstract are available at V.Sarajishvili Tbilisi State Conservatoire library and in the Conservatoire Web site: www.tsc.edu.ge

Academic secretary of the dissertation board

EKA CHABASHVILI

Doctor of Musical Arts,
Assoc. Professor

General description of the paper

Relevance of the thesis topic:

There is a great interest in Mozart among performer musicians and music researchers. His creative work, covering all genres and forms of his epoch, is still highly relevant even after a lapse of nearly two and a half centuries. Every performer is keen to have Mozart pieces in his/her repertoire, which is a determinant of his/her prestige as a performer and a level as a musician. The creative work of this genius is certainly an extremely interesting research material for musicologists, being a subject-matter of numerous scientific studies and fiction stories, as well as that of cinematic masterpieces (e.g. "Amadeus", a film directed by Miloš Forman).

There has been an everlasting interest not only in Mozart's creative legacy, but also in his personality, life and his sudden, unascertained and mysterious death. Mozart's childhood – a career of the 'Wunderkind' performer, 30-year skyrocketed and abundant creative activity, and a sudden death at a very young age, the causes of which have given rise to extremely contradictory versions, will always be a matter of keen interest, will always raise questions and excite both, the researchers and admirers of Mozart's creative work. Therefore, Mozart is and will always be **topical** for researchers, as well as for musical performers.

There are numerous papers dedicated to Mozart's creative activity, in particular his operas, concert arias, coloratura soprano parts and interpretations and peculiarities. On the one hand, the topic is multifaceted and inexhaustible, on the other hand, it has been studied so profoundly that it is hard to say a new word in relation to Mozart. However, there are few works on the role of the lyric soprano itself and the parts related thereto in Mozart's operas.

